


საქართველოს 1991 წლის საბავშვო ჩემპიონატის კალენდარი

საქართველოს
საბავშვო ჩემპიონატი

მასტერს სალუშპაქმთა ვარაუდით მოწოდებულია, მარტო მათგან
საშუალოდ, ეს უკვე იცის, მისი საკუთარი შვილი ნინო გაგონდა...
ამ სპორტული სეზონისთვისაც მათ შორის წინაშე დიდი
ამოცანებია დასახული, ამოცანები, რომლებიც ამავე დროს მძიმე
ბმირთიანია.

ზონა მსოფლიოსათვის

სალუშპაქმთა ვლემანდელი გემები



Nino Safukvadse/URS
Shooter of the year 1989

მსოფლიო ჩემპიონატებიდან, გაიგებენ, მესამე ადგილი აიღო და რატომ, გაუკვირდებათ. ხოლო, თითქოს ასეთ შეჯიბრებებზე მესამე ადგილის დაკავება იოლი იყოს. ეს „რატომ“ ნინოს პირადობა ტყვიასათვის ხდება გულში. ადრე, როცა უფრო პატარა იყო, შეჯიბრებები ართობდა კიდევ, ხალხით აკეთებდა ყველაფერს. ახლა კი ასეთი პასუხისმგებლობისა და მოთხოვნის პირობებში შეჯიბრება მისთვის ხშირად უმძიმეს სამუშაოდ იქცევა ხოლმე.

და მაინც, მინდა გითხრა, რომ ყველაფერს მოველოებოდა, ტყვიები რომ არ აწუხებდეს.

— რამდენადაც ვიცი, ნინოს გერმანიაში უოფენსა იარაღი დაუკარგეს.

— მე ახლა მოსკოვში იმიტომ ჩავიდი, რომ მცირეკალიბრის პისტოლეტი ჩამეტანა. მართალია, მანჩესტერში ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღის სროლაში ჩატარდა, მაგრამ ეს პისტოლეტი მას მექსიკაში და ამერიკაში გამოადგება, სადაც იგი ინგლისიდან გაემგზავრა. ამ ქვეყნებში მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპები ჩატარდება.

რაც შეეხება გერმანიაში დაკარგულ პისტოლეს, და მასთან ერთად ნინოს დიდ ჩანთას, იგი ფრანკფურტში მონახეს და მოსკოვში გამოგზავნეს, საიდანაც ჩვენ მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეგვატყობინეს. ნინო ჩავიდა დაკარგულის მისაღებად. ჩანთა საკარგოდ შევსებული იყო მოსკოვში, შიგ ბევრი გერმანიაში ნაყიდი სუვენირი და საჩუქარი იყო, მაგრამ ნინომ არაფერი თქვა, რადგან მთავარი — პისტოლეტი მოიხაზა.

— ნინოს სპორტში არსებული უველა ტატული აქვს იარაღის მწარმოებელ ანდა სხვა ფირმებს რამე კონტრაქტები ხომ არ შეუთავაზებიათ მისთვის?

— ასეთი კონტრაქტების გაფორმებას საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელები ახორციელებენ. მაგალითად ფირმა „მანლიპერი“ მგონი უფასოდ აწვდის ნაკრებს იარაღს რეკლამის სანაცვლოდ. ნინოსაც პნევმატური იარაღი ამ ფირმისა აქვს და „მანლიპერიდან“ იგი ზოგჯერ მცირე საჩუქრებს იღებს, საათს ან აი ასეთი ფორტების მთელ სერიას...

— იქნებ მომავალ შეჯიბრებებზეც იტყვიან თორღე სიტყვას?

— უკვე ვთქვი, რომ სეზონის უმთავრესი შეჯიბრებებია მსოფლიო ჩემპიონატი პნევმატური იარაღის სროლაში, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატი. ეს შეჯიბრება იტალიაში, ზაფხულში გაიმართება, ოლიმპ — ტყვიის სროლაში. მთელი წლის განმავლობაში ჩატარდება ექვსი ეტაპი მსოფლიო თასის გათამაშებისა და ბოლოს — ფინალიც, მიუნხენში. ისიც გითხარით იქნებ მსოფლიო ჩემპიონატი გამოვტოვოთ, სხვა დანარჩენზე კი ალბათ გამოვლოთ. ოლიმპ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის მსროლელთა ნაკრებს სახსრები უჭირს და გუნდს ყველა შეჯიბრებაზე ალბათ ვერ გაამგზავნენ.

ესაუბრა გიორგი იოსებძემ

I ტური 16 მარტი

- იბერია (თბილისი) — ალაზანი (გურჯაანი)
- გურია (ლანჩხუთი) — მარგვეთი (ზესტაფონი)
- გორდა (რუსთავი) — სულორი (ვანი)
- ქუთაისი (ქუთაისი) — ამირანი (ოჩამჩირე)
- კოლხეთი-1913 (ფოთი) — შევარდენი-1906 (თბილისი)
- ბათუმი (ბათუმი) — ივერია (ხაშური)
- ცხუმი (სოხუმი) — სამგურალი (წყალტუბო)
- ოდიში (ზუგდიდი) — შიური (გალი)
- მერცხალი (ოზურგეთი) — სანავარდო (სამტრედია)
- დილა (გორი) — კოლხეთი (ხობი)

II ტური 20 მარტი

- ალაზანი — კოლხეთი
- სანავარდო — დილა
- შიური — მერცხალი
- სამგურალი — ოდიში
- ივერია — ცხუმი
- შევარდენი-1906 — ბათუმი
- ამირანი — კოლხეთი-1913
- სულორი — ქუთაისი
- მარგვეთი — გორდა

III ტური 27 მარტი

- გურია — ალაზანი
- გორდა — იბერია
- ქუთაისი — მარგვეთი
- კოლხეთი-1913 — სულორი
- ბათუმი — ამირანი
- ოდიში — ივერია
- მერცხალი — სამგურალი
- ცხუმი — შევარდენი-1906
- დილა — შიური
- კოლხეთი — სანავარდო

IV ტური 31 მარტი

- ალაზანი — სანავარდო
- შიური — კოლხეთი
- სამგურალი — დილა
- ივერია — მერცხალი
- ამირანი — ცხუმი
- სულორი — ბათუმი
- მარგვეთი — კოლხეთი-1913
- იბერია — ქუთაისი
- გურია — გორდა

V ტური 10 აპრილი

- გორდა — ალაზანი
- ქუთაისი — გურია
- კოლხეთი-1913 — იბერია
- ბათუმი — მარგვეთი
- ცხუმი — სულორი
- მერცხალი — შევარდენი-1906
- დილა — ივერია
- ოდიში — ამირანი
- კოლხეთი — სამგურალი
- სანავარდო — შიური

VI ტური 14 აპრილი

- ალაზანი — შიური
- სამგურალი — სანავარდო
- ივერია — თბილისი
- ამირანი — მერცხალი
- სულორი — ოდიში
- მარგვეთი — ცხუმი
- იბერია — ბათუმი
- გურია — კოლხეთი-1913
- გორდა — ქუთაისი

16 აპრილი

შევარდენი-1906 — დილა

VII ტური 20 აპრილი

- ქუთაისი — ალაზანი
- კოლხეთი-1913 — გორდა
- ბათუმი — გურია
- ცხუმი — იბერია
- ოდიში — მარგვეთი
- მერცხალი — სულორი
- დილა — ამირანი
- კოლხეთი — შევარდენი-1906
- სანავარდო — ივერია
- შიური — სამგურალი

VIII ტური 24 აპრილი

- ალაზანი — სამგურალი
- ივერია — შიური
- შევარდენი-1906 — სანავარდო
- ამირანი — კოლხეთი
- სულორი — დილა
- მარგვეთი — მერცხალი
- გურია — ცხუმი
- გორდა — ბათუმი
- ქუთაისი — კოლხეთი-1913

25 აპრილი

იბერია — ოდიში

IX ტური 1 მაისი

- კოლხეთი-1913 — ალაზანი
- ბათუმი — ქუთაისი
- ცხუმი — გორდა
- ოდიში — გურია
- მერცხალი — იბერია
- დილა — მარგვეთი
- კოლხეთი — სულორი
- სანავარდო — ამირანი
- შიური — შევარდენი-1906
- სამგურალი — ივერია

X ტური 6 მაისი

- ალაზანი — ივერია
- ამირანი — შიური
- სულორი — სანავარდო
- მარგვეთი — კოლხეთი
- იბერია — დილა
- გურია — მერცხალი
- გორდა — ოდიში
- ქუთაისი — ცხუმი
- კოლხეთი-1913 — ბათუმი
- შევარდენი-1906 — სამგურალი

XI ტური 12 მაისი

- ბათუმი — ალაზანი
- ცხუმი — კოლხეთი-1913
- ოდიში — ქუთაისი
- მერცხალი — გორდა
- დილა — გურია
- კოლხეთი — იბერია
- სანავარდო — მარგვეთი
- შიური — სულორი
- სამგურალი — ამირანი
- ივერია — შევარდენი-1906

XII ტური 16 მაისი

- ალაზანი — შევარდენი-1906
- ამირანი — ივერია
- სულორი — სამგურალი
- მარგვეთი — შიური
- იბერია — სანავარდო
- გურია — კოლხეთი
- გორდა — დილა
- ქუთაისი — მერცხალი
- კოლხეთი-1913 — ოდიში
- ბათუმი — ცხუმი

XIII ტური 22 მაისი

- ალაზანი — მარგვეთი
- იბერია — სულორი
- გურია — ამირანი
- გორდა — შევარდენი-1906
- ქუთაისი — ივერია
- კოლხეთი-1913 — სამგურალი
- ბათუმი — შიური
- ცხუმი — სანავარდო
- ოდიში — კოლხეთი
- მერცხალი — დილა

XIV ტური 28 მაისი

- ალაზანი — ამირანი
- სულორი — შევარდენი-1906
- მარგვეთი — ივერია
- იბერია — სამგურალი
- გურია — შიური
- გორდა — სანავარდო
- ქუთაისი — კოლხეთი
- კოლხეთი-1913 — დილა
- ბათუმი — მერცხალი
- ცხუმი — ოდიში

XV ტური 3 ივნისი

- ოდიში — ალაზანი
- მერცხალი — ცხუმი
- დილა — ბათუმი
- კოლხეთი — კოლხეთი-1913
- სანავარდო — ქუთაისი
- შიური — გორდა
- სამგურალი — გურია
- ივერია — იბერია
- შევარდენი-1906 — მარგვეთი
- ამირანი — სულორი

XVI ტური 10 ივნისი

- ალაზანი — სულორი
- მარგვეთი — ამირანი
- იბერია — შევარდენი-1906
- გურია — ივერია
- გორდა — სამგურალი
- ქუთაისი — შიური
- კოლხეთი-1913 — სანავარდო
- ბათუმი — კოლხეთი
- ცხუმი — დილა
- ოდიში — მერცხალი

XVII ტური 14 ივნისი

- მერცხალი — ალაზანი
- დილა — ოდიში
- კოლხეთი — ცხუმი
- სანავარდო — ბათუმი
- შიური — კოლხეთი-1913
- სამგურალი — ქუთაისი
- ივერია — გორდა
- შევარდენი-1906 — გურია
- ამირანი — იბერია
- სულორი — მარგვეთი

XVIII ტური 21 ივნისი

- ალაზანი — მარგვეთი
- იბერია — სულორი
- გურია — ამირანი
- გორდა — შევარდენი-1906
- ქუთაისი — ივერია
- კოლხეთი-1913 — სამგურალი
- ბათუმი — შიური
- ცხუმი — სანავარდო
- ოდიში — კოლხეთი
- მერცხალი — დილა

XIX ტური 25 ივნისი

- დილა — ალაზანი
- კოლხეთი — მერცხალი
- სანავარდო — ოდიში
- შიური — ცხუმი
- სამგურალი — ბათუმი
- ივერია — კოლხეთი-1913
- შევარდენი-1906 — ქუთაისი
- ამირანი — გორდა
- სულორი — გურია
- მარგვეთი — იბერია

— ბატონო ვახტანგ, თქვენც მანჩესტერში წახული შეგონით, მოსკოვში კი ყოფილხართ.

— მიუხედავად იმისა, რომ ნინოს ასეთი წარმატებები აქვს, უცხოეთში, საერთაშორისო შეჯიბრებებზე არასდროს წავყვლივარ. როგორც მწვრთნელი. სხვები მიდიან ხოლმე. ზოგჯერ სპეციალისტთა ტურისტულ ჯგუფთან ერთად მივმგზავრებოდი, მაგრამ ახლა ესეც აკრძალეს.

— მანჩესტერში ნინომ მესამე ადგილი დაიკავა პირადობაში. ზუსტი შედეგები არ ვიცი, იქნებ თქვენ გაგეთრამე მოსკოვში?

— სეკარიზმა ძირითად სერიებში 386 ქულა მოაგროვა და მან არც ფინალში დათმო ლიდერობა. მეორე ადგილისთვის ნინო და ლენინგრადელი სვეტლანა სმირნოვა იბრძოდნენ. საბოლოოდ სმირნოვა სამი მეათედი ქულით აღმოჩნდა წინ. ნინომ პირველ სერიაში 93 ქულა მოაგროვა და მერე ვეღარ აინაზღაურა დანაკლისი. ბოლო სერიებში კი ცოტა უცნაური შედეგები ჰქონდა — ჯერ 5 ცხრიანი, მერე — 5 ათიანი.

ჯერ კიდევ მოსკოვში, საკონტროლო შეჯიბრების დროს ნინოს გამოსვლა ევროპის ჩემპიონატში სათუო გახადეს, „მომივლ“ ისვრისო. ახლა მას მართლა უჭირდა, ყურები ძალიან სტკიოდა. ბავშვობიდანვე ასე იცის, როცა გაცივდება ყურებს იტყვიებს ხოლმე. რამდენჯერ არ ვიყავით ექიმებთან, მაგრამ ხეირიანად ვერ უწამლეს. ისე ტირის ხოლმე... ახლა მარჯვენა ხელის მაჯაც აწუხებს, მოსკოვში სხივებს იკეთებდა...

— რამდენად მიზანშეწონილია ასეთ პირობებში უველა დიდ შეჯიბრებებზე გამოსვლა იქნებ დროებით დასვენება სჯობდეს?

— დასვენება და მკურნალობა მართლაც საჭიროა. ჩვენ იქნებ არც გამოვიდეთ წლებადღეს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ნორვეგიაში უნდა გაიმართოს აპრილში.

ნინოს მართლაც უჭირს. ეს თვით ნაკრებშიც კი შეატყვეს. მათ უფროსი მწვრთნელი შამბურკინი მეუბნება, რით დაგეხმაროთო. ვეღარ მოვიტონებ და ვუთხარო: შენსათვისა უხეშთან მაინც არ მოვა რამის სათხოვად მეთქი. იმათ მუდამ მაღალი შედეგი უნდათ, სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს ითხოვენ. ნინოც მაქანა ხომ არ არის, ჯერ ბავშვია... აქაც, თბილისში, რომ ჩამოვა ევროპის ანდა

ფიფა შეამოწმებს

ბოლო ხანს ბევრი დაპარაკია ფეხბურთის წესების შეცვლაზე. ამ ბროშურის აქტუალურობაზე სხვადასხვა არი არსებობს, მაგრამ ეს არ მოქმედებს ფიფა-ში. უცხოელი ნიჭიერები

იღებენ და წინადადებებს როდენობაზე. ერთ-ერთი ასეთი მოსაზრება ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს მცენიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკოს ინსტრუქტორს უფროს მცენიერ-თანამშრომელს, ტექნიკოს

მცენიერებათა კანდიდატ სულხან იაშვილს ეკუთვნის. მისი წინადადების არსი ასეთია: ვინაიდან მექანიკისთვის ბურთის უკან მიწოდებას და მერე მის გათამაშებას საკმაოდ დიდი დრო მაქვს (სტატორის გამოთვლით, საშუალოდ 2-4 წუთი ერთ მატში, რაც მისივე ანგარიშით, სათამაშო დროის 5-7 პროცენტს შეადგენს), მიზანშეწონილია მას

აქრძალის საჭირო მოცდნის ფარგლებს გარედან მიწოდებული ბურთის ზედა ალბა. ასეთ შემთხვევაში მექანიკის ისევე როგორც მინდვრის მოთამაშებს, მხოლოდ ფეხით ან თავით თამაშის უფლება მიეცემა.

ნათქვამია, რომ ეს სახეზე ჯერ ეროვნული ფეხბურთის ეგვილი ჩატარებულ ტურნირებში უნდა შემოქმედეს და მერე გახდეს გლობალური განწყობის საგანი. მოუხედავად ამის, ახლანან ცნობილი გახდა, რომ ფიფა ამ წესს ოფიორთა ერთ-ერთ უახლოეს შეხებრებაზე შეამოწმებს.



1972 წელს საბოლოო წარმართის ოლიმპიადის უმახინძლა. ასეთი იყო იმპრესიის საწივო გახსნის ცერემონია.

როცა რამე მნიშვნელოვანი შეუძრება ააბინაში ტარდება, შეიძლება წინაწინ დარწმუნებით ითქვას, რომ კომფორტი და ორგანიზაციული წესრიგი გარანტირებული იქნება. თუ ეს შეუძრება წამთრის ტურნირია, ბუნების კირვეულობაც იოლად დაიძლევა: ააბინელთა „კვიანი“ მანქანები თოვლსაც გააჩენენ და თუ საჭიროა, შედგენსაც „გაპარობენ“.



სუთი პრის პირველობა

მეოთხე ტურირ

ინგლისს - „სამგზის გვირგვინი“

დუბლინი. „დენსდაუნ როუდის“ სტადიონი 2 მარტი.

ირლანდია 7(8) (1ლ.1ს) — ინგლისი 16(8) (2ლ.1გ.2ს).

ირლანდია: სთეიფლი; გეგანი, მკლინი, ქერთისი, კროსანი; ბ. სმისი, სონდერსი; ჯ. ფითსჯერალდი, ს. სმისი, დ. ფითსჯერალდი; მეთიუზი, ფრენსისი, რიგნი, ჰემილითონი; რობინსონი.

ინგლისი: ჰოჯკინსონი; ჰებლოფი, ჰარლინგი, გასქოთი, ანდერვუდი; ენდრიუ, პილი; ლენარდი, მური, დრობინი; თიგი, დული, მქვორდი, ენთერბოთომი; რიჩარდსი.

საჭალო აღენ სუკომბი (საფანგეთი). ბოლო 30 წლის მანძილზე პირველად მოხდა, ინგლისმა ზედიზედ სამი თამაში ერთი და იმავე შემადგენლობით რომ გამართა. რაც შეეხება ირლანდიას, მისი უკანა ხაზის ოთხი მოთამაშე — სთეიფლი, გეგანი, ქერთისი და სონდერსი ლონდონში „გადახვეწილ“ ირლანდიელთა კლუბ „ლანდონ აირი-შიდანი“ იყო, რომელიც წელს ინგლისის ჩემპიონატის მეორე ჯგუფში მონაწილეობდა და მეტოქეებს მასში მონაწილეობის სანდერსის სტადიონზე, ინგლისური რაგბის „ნავსაყუდელ“ ფიფინგიდან ხელისგაწვედნაზე რომაა.

ერთ ცნობილ ირლანდიელ მწერარს ოდესღაც უთქვამს, „მოგვეყვით სველი ბურთი და მოვინანი, თან ირლანდიელი მსაჭალოც მოაყოლოთ და ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ“. მართლაც, ინგლისთან თამაშის დღეს მოედანიცა და ბურთიც გვარიანად სველი იყო; მსაჭალოც, ფრანგობის კელობაზე, ორაციონალური გადაწყვეტილებებით მიე არია თამაში, რომ უძლიერეს სპორტისტების დასამტკიცებლად შეხედრის საწყისი 60 წუთი (I) ვერ იყო.

დიახ, ინიციატივა ხელთ ინგლისს ეყარა, მისი მორკინალები ლომის წილ ბურთსაც იგებდნენ, მაგრამ მას ვერაფერში იყენებდნენ. ირლანდიელები, როგორც ყოველთვის, გააფრთხილდნენ თავს და შეხვედრის მეტი წილი წინაც იყენენ.

ინგლისის პირველი შეტევები რომ მოეგეო, ირლანდიამ მეტოქის ნახევარზე გადაიწვია და ბ.სმისმა

ერთობ არახელსაყრელი პოზიციიდან საჭარიმო შეეგდო. ინგლისელთა დამარცხებელ ჰოჯკინსონს ოთხი ცდა დასჭირდა, ზედ შესვენების წინ ბოლოსდაბოლოს რომ გაეთანაბრებინა ანგარიში.

თამაშის განახლებისთანავე ირლანდიელებმა მეტოქეს გამჭირაობით აჯობეს: კუთხის ალამთან ხელობა დანიშნული ხუთმეტრიანი შერკინებისას ლელოში მეტოქის შეთრევას კი ალარ ეცადნენ, არამედ ბურთი უეცრად გადასცეს გარემარბ სიმონ გეგანს — 7:3. ეს იყო და თავზეხელაღებული თამაში გახალდა. ინგლისის მორკინალთა მუღბივმა მოაღებამაც ირლანდიელები გატეხა და ჰოჯკინსონმა ერთი საჭარიმო შეეგდო — 6:7.

და მაინც, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ წინა ორი სეზონის დარად, ინგლისი გადაწყვეტ მომენტში კვლავ წაიდგობილებდა. სტუმართა ბედიად, ასე აღარ მოხდა: მათი მალიაზიელი მარცხენა გარემარბი რორი ანდერვუდი უეცრად ერთობ იოლად გაუსხლტა სამ მეტოქეს და ინგლისი დააწინაურა — 10:7. ამან ირლანდიას თავგზა შთადა აუზნია, ავანტურისტული თამაში დააწყებინა და ინგლისის ბოლო იერიში თიგმა — ლელოს გატანით, ჰოჯკინსონმა კი გარდასახვით დააგვირგვინეს — 16:7.

ინგლისმა ასე მოიგო მეთექვსმეტედ „სამგზის გვირგვინი“ — სიმბოლური ჯილდო დანარჩენი სამი ბრიტანული გუნდის დამარცხებისათვის.

ფინლა ღავითაც ვერ უხველათ

პარიზი „პარკ დე პრენსის“ სტადიონი. ჯალ გიგინეიზმილი

Table with 7 columns: Country, Goals, Assists, Shots, Goals per Shot, Shots per Goal, and other statistics for the match between France and Ireland.

ამრიგად, ჩემპიონს ბოლო ტური გაარკვევს: 16 მარტი ლონდონის გარეუბან თვიქნეში ინგლისი საფრანგეთს უმახინძლებს. ამავე დღეს ედინბურგის გარეუბან მარიფილში შოტლანდია ვიამაშება ირლანდიას.

ის კი არა, ძველი თბილისელი ველოსიპედისტების გაიმოცემით (ნიკოლოზ გაბრიელივი, ლადო კავსაძე) ჩვენს დედაქალაქში ტრეკი თურმე 1886 წელსაც მოქმედებდა. ამას თავის მოგონებებში, სხვათა შორის, ვახილ ჯორჯაძის ქალიშვილიც ადასტურებდა. მისი ცნობით, ეს ტრეკი უსახსრობის გამო ერთხანს დაკეტილი იყო და თავად ჯორჯაძის 1893 წელს გამოუსყიდა მისი გახსნის ნებართვა, თანაც ერთი წლის ქირა წინასწარ გადაუხდია. ასე რომ, თბილისის ტრეკი ასაკით დიდად არ ჩამორჩება



88-ანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ომარ ფხაკაძე.

ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში მოქმედ პირველ ველოტრეკებს. თბილისის ველოტრეკი 1916 წელს საფუძვლიანად გადაკეთდა ძველის ლგოტაკების თაოსნობით. ეს, სხვათა შორის, ის ლგოტაკები არიან, რომლებმაც ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ 1900 წელს დააარსეს მექანიკური ქარხანა და ფირმა. ამ ორი ძვიდან თბილისში საბოლოოდ დამკვიდრდა იოსები, რომელმაც ოლღას (ახლანდელი კოსტავას) ქუჩაზე დიდი საწყობი და სახელოსნო ააშენა. ლგოტაკების სახელოსნოში იყიდებოდა საზღვარგარეთული საბურავები, მანქანის ზეთი და ბენზინი. აქვე არემონტებდნენ ნაწილებს, საბეჭდო და საკერავ მანქანებს, გრამოფონებს, პატენონებს...

ლგოტაკების ფირმა იმდროინდელი ველოსპორტის მეცნიერად ითვლებოდა: სისტემატურად ატარებდა შეჯიბრებებს, აწესებდა პრიზებს, ფინანსურ დახმარებას უწევდა ხელმოკლე ველოსიპედისტებს, ამავე დროს აქირავებდა მანქანებს, მართვის ასწავლიდა მსურველებს. ფირმას ჰყავდა კვალიფიციური ხელოსნები და სპეციალისტები...

სამეოლებით ამ პერიოდში თბილისში ფილიალი გახსნა საზღვარგარეთულმა ფირმა — „დუქსამაც“, რომლის წარმომადგენელი იყო იმ დროისთვის პოპულარული ველოსიპედისტი და ჩინებული ხელოსანი-მექანიკოსი ნიკოლოზ გაბრიელივი. იგი სისტემატურად გამოდიოდა შეჯიბრებებში, ხშირად რუსეთის ქალაქებშიც მიემგზავრებოდა და იქიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა. გაბრიელივის ბევრი იმდროინდელი ჩემპიონი ჰყავს დამარცხებული, მათ შორის უცხოელი ველოსიპედისტებიც. მაგრამ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ყველაზე პოპულარული ველოსიპედისტი თბილისში მაინც ლადო კავსაძე გახლდათ — ბრწყინვალე მოჭიდავე, ესტრადის პოპულარული მსახიობი და მომღერალი. სხვათა შორის, შემორჩენილია ერთი ძველი აფიშა, რომელიც ველოსიპედისტთა იმდროინდელ ცხოვრებაზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვიწვდის. ამ აფიშის მიხედვით, 1908 წლის 18 მაისს თბილისის ველოტრეკზე დანიშნული ყოფილა „გრანდიოზული ველოსპორტორი რბოლა“ ლადო კავსაძისა და რუსეთიდან ჩამოსული ცნობილი გასტროლოიორის სერგეი უტოჩკინის მონაწილეობით.

უტოჩკინს მეოცე საუკუნის ლეგენდას უწოდებდნენ რუსეთში. ცნობილი მწერლის ალექსანდრე

კუბრინის უახლოესი მეგობარეც და ფოტოპოპულარობით სარგებლობდა, რომელიც დროინდელ საზოგადოებაში როგორც ველოსიპედისტი, მოციგურავე, მოკრივე, ავტომობილისტი, რუსული ავიაციის ბიონერი, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი და გამოცდილი. აი სწორედ ეს ლეგენდარული ბიონება დაიშორდა 1908 წლის 18 მაისს ლადო კავსაძემ თბილისის ველოტრეკზე, დაიშორდა და ჯილდოდ მიიღო გამარჯვებულისთვის დაწესებული ფულადი პრემია — 300 მანეთის ოდენობით.

საბატო სტუმარი ამ პერიოდით არ განაწვევებულა. პირიქით, მან თურმე ჯეროვნად შეაფასა კავსაძის ოსტატობა და იგი საგასტროლო ტურნეშიც მიიწვია. უტოჩკინმა და კავსაძემ წარმატებით იმოგზაურეს ოდესში, ტულაში, ხარკოვში, მოსკოვსა და პეტერბურგში. კავსაძეს მონაწილეობა მიუღია მოჭიდავეთა შეჯიბრებებშიც და იქაც საზოგადოებრიობის მოწონება დაუშინაბურება. როგორც ხედავთ, საქართველოში მუდამ იყვნენ მაღალი კლასის ველოსიპედისტები. 30-40-იან წლებში მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გოგი ლევადა და არკადე ხაბურზანი, უფრო მოგვიანებით კი აეთანდლო გუნია.

1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან მოსაპარებე თოთხმეტ სპორტსმენს შორის ერთი ველოსიპედისტიც იყო — იმხანად საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენი ოთარ დიდუნიშვილი. მაგრამ ქართული ველოსპორტის გვირგვინად, ცხადია, ომარ ფხაკაძის ბრწყინვალე გამარჯვებები უნდა მივიჩნიოთ. ომარს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამ ოლიმპიადაში აქვს მიღებული მონაწილეობა (ტოკიო, მენბიკო, მიუნხენი). ერთხელ, მენბიკოში, იგი მეოთხე იყო საბრიტანეთის შორის, მიუნხენში კი ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა. მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ფხაკაძემ მიიღწია 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში ჩატარდა. იქ მან ოქროს მედალი დაიმსახურა. რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებებზე, ფხაკაძე ათჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1965 წელს კი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა იგი მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედისტად დაასახლა.



თანამედროვე სუთიქიდი

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ბანალური ისტორია: ოფიცერს, რომელიც სარდლობის საიდუმლო დავალებას ასრულებდა უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა მანამ, სანამ მიზანს მიაღწევდა. ჯერ იყო და ცხენი მოუკლეს. მაგრამ გზა მაინც განავარო — კარგი რბენა იცოდა. მდინარე შედარებით იოლად გადასცურა. ტყეში მდებარეები წამოეწიენ, მაგრამ საითთაოდ გაუსწორდა ხმლით. მერე ბისტოლეტის ხმარებაც დახატინდა, კინაღამ გამოასალმეს სიცოცხლეს, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია და სარდლობის დავალება პირნათლად შეასრულა.


სუუეეტის მიხედვით ვერაფერი ლეგენდაა — უნიკო კაცის მონაყოლსა ჰყავს, მაგრამ სწორედ ეს მარტივი ამბავი ასახავს ზუსტად თანამედროვე ხუთუბის არსს, მის შინაგან ბუნებას. ასე რომ მართალიც რომ არ იყოს ალბათ ლირდა ასეთი ლეგენდის მოგონება.

(გარდაღება შეხედვ ნომერში)

«ფორმული» პატიოსანი



ბრძოლის ბარანტიას ითსოვს



წლებულს ავტოსპორტის მსოფლიო საბჭომ უჩვეულოდ გვიან გამოაცხადა გუნდების შემადგენლობა და ესოდენ სასაუკვარი ლიცენზიების მფლობელთა ვიწრობა, რომლებსაც უფლება ეძლევათ ავტომობილითა ყველაზე პოპულარულ მსოფლიო ჩემპიონატში, ფორმულა I მანქანებით შეჯიბრებაში იასპარავონ. ასეთი დაგვიანების მიზეზი გახდა პლანეტის უძლიერესი პოლოტების — ბრაზილიელი აირტონ სეინასა და ფრანგი ალენ პროსტის შარშანდელი სპორტული დეული. ორი სეზონი ჩემპიონატის ბოლოს ამ მსაბოლოო შორის სერიოზული ინციდენტების თავიდან აცილება არ

ნებრძდება. ორივე სეზონში მოვლენები ისე წარიმართა, რომ ამ ინციდენტების გარეგანად თვით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ფრანგი ჟან პარიზოლის, იმუქრება, რომ საერთოდ უარს ფორმულა I-ის ყველაზე სახელმწიფო მონაწილე „ფორმული“, ერთდერითი გუნდი, რომელიც ამ შეჯიბრებებში პირველი სეზონიდან გამოდის, იმუქრება, რომ საერთოდ უარს იტყვის ჩემპიონატზე, თუ ტრასაზე პატიოსანი ბრძოლის გარანტია არ იქნება. იგი ამ გარანტიებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან ბოლო

დღეებამდე დაჟინებით მოითხოვს. — „ფორმული“ გუნდმა შესაძლოა უარი თქვას ფორმულა I რბოლებში მონაწილეობაზე, თუ ამ შეჯიბრებათა ორგანიზატორები ბოლოს არ მოუღებენ იმ უწყვეტობას, რამაც ასე დაზარალა ბოლო ორი ჩემპიონატი — განაცხადა ფორმა I-ის „ფიატის“ დირექტორ-განმკარგულბელმა ჩეზარე რომიტომ. — „ფორმული“ მზად არის ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად. ჩვენ ვერ ვგაძნობთ თავს შეჯიბრების სრულყოფილი მონაწილეად. რომელი ფორმა I-ის „ფიატის“ ფაქტობრივად მეორე კაცია თავმჯდომარის ჯანი ანიელის მერე. „ფორმა I“ და მისი გუნდი კი სწორედ ამ იტალიური საავტომობილო გიგანტის საკუთრებაა. ამავ დროს, „ფორმული“ თავმჯდომარემ ბიერ ფუზარომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისადმი გაგზავნილ წერილში კატეგორიული პროტესტი გამოთქვა „ზოგიერთი მრბოლის“ უპატიოსნო ქცევის გამო, რომლებმაც მიიღო შრომა წყალში გააღუყვარეს გუნდს.

რომისა და ფუზაროს ეს პროტესტები გამოწვეული იყო შარშან „სუტუსის“ ტრასაზე სენას „მაკლარენ-პონდას“ და პროსტის „ფორმული“ შეჯიბრებით. სენა, რომელიც ოდნავ ჩამორჩებოდა პროსტს, პირველსავე მოსახვევში შეეცადა გაესწრო მისთვის და დაეჯახა კონკურენტის მანქანას. ორივე სპორტსმენი გამოეთიშა რბოლას. პროსტმა, ცხადია, ვეღარ შეძლო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის გაგრძელება (ამისთვის მას ორი უკანასკნელი ეტაპი უნდა მოეგო).

ფუზარომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალიური გუნდი არ მოითხოვს სენას წინააღმდეგ რაიმე დისციპლინური ზომების შეღებვას ან მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების გადასინჯვას. — ჩვენ ოფიციალურად ვაყენებთ მრბოლთა არაკორექტული ქცევისა და სიტუაციის საგანგაშო გაუარესების საკითხს... ზოგიერთ მძღოლს, როგორც ჩანს, ჭკონია, რომ რბოლის დროს შეჯახება ისტანი ან, შესაძლოა, დაშვებული ტაქტიკური ხერხიც კია. ეს ემუქრება ყველა მრბოლის უსაფრთხოებას და ფორმულა I-ში მო-

ნაწილეობისთვის აუცილებელ მსხვილ კაპიტალდაზარალებებსაც. ამასობაში სულ უფრო ძლიერდება იაპონელთა იერიში ყველაზე პრესტიჟული ავტომობილების მონაწილე გუნდებზე. დღეს ფორმულა I-ის ციკლის ბევრმა მონაწილემ შეითვისა მისალმების აღმოსავლური რიტუალი. ხელის ჩამორთმევა ისტორიის პიარდება. პოლოტებსა და ტექნიკურ პერსონალს, სხვა პირთა შორის მისალმების ახალი ფორმა დამკვიდრდა — თავაზიანი თავის დაკვრა და პირმოთხე „პი“. ახალი ჩემპიონატის მონაწილე თერაპეტი გუნდიდან ხუთი, მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც იაპონელთა ხელშია. კიდევ სამი გუნდი მნიშვნელოვან თანხას იღებს იაპური სპონსორებისგან. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამოწვეული მზის ქვეყნის სახელს მხოლოდ ორი მრბოლი იცავს — საბურთე ნაკაძიმე და აგური სუძუკი. თანაც, ამ მრბოლთა „მზითვის“ რაოდენობა და ხარისხი ბევრად აღემატება მათსავე ნიჭს. რა განაპირობებს ფორმულა I-ის ასეთ პოპულარობას იაპონიაში? რატომ აბანდებენ თავიანთ ენებს იაპონელი ბიზნესმენები ავტოსპორტში და არა ჩოგბურთში ან გოლფში?

— ამ შეკითხვებს „ლაროს-ლოლას“ გუნდის მებაიე კომპოლტო ასე პასუხობს: „იაპონიაში ფორმულა I-ს რთული ბიზნესის რეპუტაცია აქვს. ვინც ამ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს, ჩვენში დიდი პატივისცემით სარგებლობს. დიას, როგორც ჩანს, ფორმულა I-ში ფინანსური პრობლემები აღარაქვს აწუხებს. საკმარისი საჭირო გახდეს დამატებითი თანხა, რომ მზერა მყისვე შორეული აღმოსავლეთისკენ გარბის და ახალ-ახალი დივიდენდებიც არ აყვავებს.

ჩვენ რომ მათი ფული მოგვცა, მაშინ... სპონსორობისკენ სწრაფვა არც საბურთელებისათვისაა უცხო. თუმცა, როგორც ჩანს, ფორმულა I-ის ისტორიაში ჩვენ შეველთ არა მარტო როგორც უსახსრებო სპონსორები, არამედ როგორც აშკარა ყბედებიც. ეს ერთი ლენინგრადაელი „საქსის კაცის“, ვინმე მიხეველ პიჩკოვის დამსახურებაა. იგი ერთხელ რალიში იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპზე მიიწვიეს, სადაც თავისი წინადადებებით თავგზა აღზნია ფორმულა I-ის ახლად შექმნილი გუნდის „ლაიფ რეისინგის“ ხელმძღვანელებს. წინადადებები მართლაც მაცდუნებელი იყო. მაგალითად, პიჩკოვსკიმ თავის ახალ ნაცნობებს ერთობლივი გუნდის „ლაიფ პიკის“ შექმნა შესთავაზა. (ფულადი შესატანი 50X50). მოსკოვში, სასტუმრო „ორლიონოკში“ მან ერთობლივი გუნდის პრეზენტაციაც მოაწყო. აქ ამ გუნდის ნამდვილი სარბოლო ავტომობილიც კი იყო წარმოდგენილი. მანქანას გარს შემოხვეოდნენ ლამაზმანები, რომლებიც ოსტატურად უსვამდნენ ხაზს როგორც საკუთარი, ისე ავტომობილის ფორმების სრულყოფილებას. შემდეგ ასეთივე

პრეზენტაცია ლენინგრადშიც მოეწყო. წარმოდგენას ბევრი სამინისტროსა და მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელებმა ესწრებოდნენ. მათგან მხოლოდ ერთი მოითხოვდნენ: მრავალმილიონიან სავალუტო ჩარიცხვებსა და წარმოების „ფორმულაზე“ გადაწყობას. მაგრა... სადაც რაღაცამ ვერ გაამართლა და პიჩკოვის გეგმები ჩაიშალა. ვინაიდან პიჩკოვისგან აღარაფერი ისმოდა, სიტუაციის გასარკვევად იტალიური გუნდის ხელმძღვანელს ერნესტო ვატას გაუგზავნეს ტელეფაქსი და სთხოვეს შეეტყობინებინა, რას ფიქრობდა თანამშრომლობის მომავალ გზებზე. პასუხმა არ დააყოვნა. მასში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მხარემ არ გადაიტანა მისი წილი — 50 პროცენტი, პიჩკოვისს კუპანებაც არსად არის, რაც მთავარია, ამის გამო გუნდი ფინანსური კრახის პირას დგას და შესაძლოა უარიც თქვას მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

წლებულს „ლაიფ რეისინგისგან“ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე განაცხადი არ შემოსულა.

ბორის მიხაილოვი,
საკადესის კორესპონდენტი,
სპეციალურად „სარბიელისთვის“.

ყველა ჩემპიონი



„ფორმულა I“-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულიანი პილოტი ხუან მანუელ ფანხიო (მარცხნივ) და ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი აირტონ სენა.



- 1950 ჯუზეპე „ნინო“ ფარინა (იტალია) — ალფა რომეო; 3-30
- 1951 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) — ალფა რომეო; 3-31
- 1952 ალბერტო ასკარი (იტალია) — ფერარი; 6-36
- 1953 ალბერტო ასკარი (იტალია) — ფერარი; 5-34,5
- 1954 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) — მაზერატი/მერსედესი 6-42
- 1955 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) — მერსედესი 4-40
- 1956 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) — ლანია/ფერარი 3-30
- 1957 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) — მაზერატი 4-40
- 1958 მაიკ ჰოუტორნი (ინგლისი) — ფერარი 1-42
- 1959 ჯეკ ბრეზემეი (ავსტრალია) — კუპერ კლიმა 2-31
- 1960 ჯეკ ბრეზემეი (ავსტრალია) — კუპერ კლიმა 5-43
- 1961 ფილ პილი (აშშ) — ფერარი 2-34
- 1962 გრეგემ პილი (ინგლისი) — BRM 4-42
- 1963 ჯიმ კლარკი (შოტლანდია) — ლოტუს კლიმა 7-54
- 1964 ჯონ სარტისი (ინგლისი) — ფერარი 2-40
- 1965 ჯიმ კლარკი (შოტლანდია) — ლოტუს კლიმა 6-54
- 1966 ჯეკ ბრეზემეი (ავსტრალია) — ბრეზემე რეპკო 4-42
- 1967 დენის პალმი (ახალი ზელანდია) — ბრეზემე რეპკო 2-51
- 1968 გრეგემ პილი (ინგლისი) — ლოტუს ფორდი 3-48
- 1969 ჯეი სტიუარტი (შოტლანდია) — მატრა ფორდი 5-63
- 1970 იოხენ რინდტი (ავსტრია) — ლოტუს ფორდი 5-45
- 1971 ჯეი სტიუარტი (შოტლანდია) — ტირელ ფორდი 6-62
- 1972 ემერსონ ფიტიფალდი (ბრაზილია) — ლოტუს ფორდი 5-61
- 1973 ჯეი სტიუარტი (შოტლანდია) — ტირელ ფორდი 5-71
- 1974 ემერსონ ფიტიფალდი (ბრაზილია) — მაკლარენ ფორდი 3-55
- 1975 ნიკი ლაუდა (ავსტრია) — ფერარი 5-64,5
- 1976 ჯეიმს ჰანტი (ინგლისი) — მაკლარენ ფორდი 6-69
- 1977 ნიკი ლაუდა (ავსტრია) — ფერარი 3-72
- 1978 მარხო ანდრეტი (აშშ) — ლოტუს ფორდი 6-64
- 1979 ჯოდი შექტერი (სამხრეთ აფრიკა) — ფერარი 3-51
- 1980 ილან ჯონსი (ავსტრალია) — უილიამს ფორდი 5-67
- 1981 ნელსონ პიკე (ბრაზილია) — ბრეზემე ფორდი — 3-50
- 1982 კემე როსბერგი (ფინეთი) — უილიამს ფორდი 1-44
- 1983 ნელსონ პიკე (ბრაზილია) — ბრეზემე BMW 3-59
- 1984 ნიკი ლაუდა (ავსტრია) — მაკლარენ პორშე 5-72
- 1985 ალენ პროსტი (საფრანგეთი) — მაკლარენ პორშე 5-73
- 1986 ალენ პროსტი (საფრანგეთი) — მაკლარენ პორშე 4-72
- 1987 ნელსონ პიკე (ბრაზილია) — უილიამს ჰონდა 3-73
- 1988 აირტონ სენა (ბრაზილია) — მაკლარენ ჰონდა — 8-90
- 1989 ალენ პროსტი (საფრანგეთი) — მაკლარენ ჰონდა 4-76
- 1990 აირტონ სენა (ბრაზილია) — მაკლარენ ჰონდა 6-78

შენიშვნა: შეჯიბრების ჩატარების თარიღს მოსდევს გამარჯვებულის სახელი გვარი, ქვეყანა, გუნდი, ეტაპებზე გამარჯვებათა რაოდენობა, დაგროვილი ქულების ჯამი.

მილიონერები საქმესთან

1950 წლიდან დღემდე, 41 ჩემპიონატში, სულ გათამაშდა სხვადასხვა ქვეყნის 500 დიდი პრზი. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ჯერ კიდევ 1929 წელს შექმნილი იტალიური „ფერარი“-მ. ამ გუნდის წარმომადგენლები 472-ჯერ გამოვიდნენ სტარტზე და 103 რბოლაში გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე 80-იანი წლების ტრიუმფატორი, ინგლისის „მაკლარენი“ — 86 მოგებული დიდი პრზი 346-დან. აღსანიშნავია „მაკლარენის“ პოლოტების უნიკალური მიღწევა — ბოლო შვიდ ჩემპიონატში მათ ექვსჯერ მოიპოვეს უძლიერესის ტიტული. სულ გუნდის აქტივშია რვა გამარჯვება. სადღესოდ, ლიდერობას ამ მაჩვენებლის მიხედვითაც „ფერარი“ ინარჩუნებს — მას 9 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს.

41 წლის მანძილზე სულ 22 პილოტმა მოიპოვა უძლიერესის სახელი. მათგან ავსტრალიური ჯეკ ბრეზემეი ერთადერთია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში საკუთარი კონსტრუქციის

ავტომობილით გაიმარჯვა. ეს მოხდა 1966 წელს.

ავსტრიელი იოხენ რინდტი ასევე ერთადერთია, ვინც ჩემპიონი გახდა... სიკვდილის შემდეგ, იგი 1970 წელს დაიღუპა იტალიის დიდი პრაზის გათამაშების წინ, ვარჯიშის დროს. მის აქტივში უკვე იყო 45 ქულა და ამ შედეგის გაუმჯობესება სეზონის ბოლომდე ვერაფერ შეძლო.

ჩემპიონთა შორის ყველაზე ხშიერია ლეგენდარული არგენტინელი მრბოლი ხუან მანუელ ფანხიო — 1957 წლის მან 46 წლისამ მეხუთედ მოიპოვა უძლიერესის ტიტული. ჩემპიონობა ყველაზე ახალგაზრდამ — 25 წლისამ ბრაზილიელმა ემერსონ ფიტიფალდმა დაიმსახურა.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ 50-იანი წლების „ნელმაგალი ბელაურები“ უფრო ადვილად სამართავი იყო, ვიდრე ბოლოდროინდელი ტურბო-„ურჩხულები“, რომელთა ძრავების სიმძლავრე 1200 ცხენისძალას უტოლდება, მაქსიმალური

სიჩქარე კი საათში 350 კმ-ს აღწევს.

1989 წლის ჩემპიონატის შემდეგ ზღაპრული სიძვირის ტურბომოტორები ისტორიას ჩაბარდა და მათ ნაცვლად პოლოტები კვლავ დაუბრუნდნენ „სულ რაღაც“ 650 ცხენისძალიან შიდაწვის ძრავებს, რომელთა „საკეებადაც“ 102-ოქტანაინი სუპერბენზინი გამოიყენება.

ისევე საიარაკოდ ძვირი ჯდება უმადლესი კლასის სუპერპილოტის შენახაც. ერთი წლის წინ ორმოცი მრბოლისგან შვიდი საუკეთესო წლიურ გასამარჯვლოდ მიიღონ დოლარზე მეტს იღებდა, მათ შორის რეკორდსმენები კი — მსოფლიო ჩემპიონები აირტონ სენა და ალენ პროსტი — 7,5 მილიონს თითოეული.

როგორც ამბობენ, წლებულს მსოფლიოს ორჯის ჩემპიონ სენას ყოველთვიური ხელფასი მილიონს გადააჭაბებს!

ლმერთა ხელი მოუშვართოს!

მოამზადა
ბია ახალაძემ.

ინგლისი

ქენი დალგლის მის გადადგომის შემდეგ „ლივერპული“ ზედიზედ სამჯერ და- მარცხდა. წინა ტურში „ლუტონთან“ წაგებას მორიგი წარუმატებლობა მოჰყვა — „ლივერპული“ თასის გათამაშებიდან გამოთიშა „ევერტონმა“ — 1:0.

ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლივერპული“ შინ წააგო „არსენალთან“ — 0:1. გოლი 66-ე წუთზე პოლ მერსონმა გაიტანა. მარცხი უშუალო კონკურენტთან ჩემპიონისათვის შესაძ- ლოა საბედისწერო გამოდგეს. გულშე- მატევიერები უკმაყოფილებას გამოთქვა- მენ გუნდის ცუდი თამაშით, რაშიც მათი აზრით, ბრალი „ლივერპულის“ მეორე მწვრთნელს მორანს უდევს. მორანი დროებით ცვლის დალგლისს. ამბობენ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე შეარჩია ახალი მწვრთნელი — ჯონ ტოშაკი, თუმცა, არაფერ იცის, თანახმა იქნება თუ არა სან-სებასტიანის „რეალი“, რომელთანაც ტოშაკს ხელშეკრულება აქვს დადებული.

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Arsenal, Liverpool, Crystal Palace, etc.

გერმანია

მე-19 ტურში ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა“ სენსაციური დამარცხება განიცადა შინ, ჰამბურგის „ზანქტ- პაულისთან“ — 0:1. გოლი ივო კნოფლიჩეკმა გაიტანა.

პირველ ადგილზე გადაინაცვლა „ვერდერმა“, რომელმაც ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი მიონჰენგლადბახში „ბორუსიასთან“. ამ შეხვედრაში, რომელსაც 26 ათასი მაყურებელი დაეს- წრო, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — პფლიმსენი. მეორე ტაიმში „ვე- რდერმა“ საბასუხო გოლი გაიტანა (ბოდე).

ფრანკფურტის „აინტრახტი“ დაძა- ბულ, საინტერესო თამაშში მოუგო „კაიზერსლაუტერნს“ (4:3). ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნა „აინტრახტის“ ნახევარმცველმა ანდრეას მიოლერმა, რომელმაც კიდევ ორჯერ აიღო

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Werder, Bayern, Kaiserslautern, etc.

პოლანდია

უამინდობით გამოწვეული ერთ- თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შედგა ჩემპიონატის მე-19 ტური. ყურადღების ცენტრში ორი მატჩი იყო: „ეინდჰოვენი“ — „ფეიენოორდი“ და „აიაქსი“ — „გრონიგენი“.

ერთ დროს პოლანდიის ფეხბურთის აღიარებული ლიდერი როტერდამის „ფეიენოორდი“ წლეულს ძალიან სუსტად თამაშობს და პირველი ლიგის დატოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ახლაც, „ეინდჰოვენს“ არ გასჭირვებია გამარჯვების მოპოვება — 6:0. ოთხი ბურთი გაიტანა ბრაზილიელმა რომარიომ, თითო — ბოსმანმა და ვანენბურგმა. რომარიოს მონაწილეობა ამ მატჩში საეჭვო იყო,

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Eintracht, Groningen, Ajax, etc.

ესპანეთი

„სპორტივო“ — „ოსასუნა“ 1:1, „ატლეტიკო“ — „ატლეტიკი“ 2:0, „ბარსელონა“ — „ატენეროფე“ 1:0, „ასისტენციანი“ — „ვალადოლიდი“ 4:2, „სევილია“ — „ბეტისი“ 3:2, „მალორკა“ — „ვალენსია“ 0:1, „სარაგოსა“ — „ესპანოლი“ 1:1, „კადისი“ — „რეალი“ (მადრიდი) 1:0, „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „ოვიედო“ 3:1, „ლავანია“ — „ბურგოსი“ 0:0.

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Athletic, Atletico, Barcelona, etc.

იტალია

„ტორინო“ — „სამპდორია“ 1:1, „ჩეზენა“ — „ბოლონია“ 3:2, „ფენოა“ — „პარი“ 3:1, „ლაციო“ — „ოვენტუსი“ 1:0, „ლანჯე“ —

ტურის სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარცხი შინ „ევერტონთან“ — 0:2 (ნიუელი და ვიოსონი). ფრედ (1:1) დამთავრა შეხვედრა „ტოტენჰემსა“ და „ჩელსის“ შორის. ანგარიში „ჩელსიმ“ გახსნა (დიური), მაგრამ ლინკლერმა თერთმეტმეტრიანით აღადგინა წონას- წონაობა.

სხვა ანგარიშები: „კოვენტრი“ — „კრისტალ პალასი“ 3:1, „დერბი ქაუნთი“ — „სანდერლენდი“ 3:3, „ლუტონი“ — „ნოტინგემი“ 1:0, „ქუინზ პარკ რაინჯერსი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:0, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ასტონ ვილა“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ლიდსი“ 2:0, „უიმბლდონი“ — „ნორიჩი“ 0:0.

ლიგის თასის ფინალში 21 აპრილს „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვედრიან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მეორე ლიგის „შეფილდ უენზდეი“. „უენზდეიმ“, რომელსაც ახლა „მან- ჩესტერ იუნაიტედი“ ყოფილი მწვრთნელი რონ ატკინსონი ხელ- მძღვანელობს, მეორე ნახევარფი- ნალშიც მოუგო „ჩელსის“ — 3:1.

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Tottenham, Manchester City, etc.

სტუმრების კარი. კიდევ ერთი გოლი გაიტანა ბაინმა. „კაიზერსლაუტერნის“ გოლები პოტიჩის, კუნცის და კალდელის ანგარიშზეა.

„ჰამბურგმა“ დაამარცხა დიუ- სელდორფის „ფორტუნა“ — 1:0. ერთ- დერთი გოლი 75-ე წუთზე ბრაზილიელმა ნანდომ გაიტანა.

სხვა ანგარიშები: „კიოლნი“ — „ბოხუმი“ 0:0, „ვატენშაიდ 09“ — „ბაიერი“ (უერდენგეი) 0:0, „ნიურნბერგი“ — „ბაიერი“ (ლევერ- კუზენი) 1:0, „ჰერტა“ — „შტუტგარტი“ 0:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „კარლსრუე“ 2:2.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას როლანდ ვოლფარტი („ბაიერი“) — 12 გოლი. მეორე ადგილზეა მიოლერი — 10 გოლი. 9-9 ბურთი გაიტანეს უინტონ რუფერმა („ვერდერი“) და იორგ კინისმა (მიონჰენგლადბახი „ბორუსია“).

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Eintracht, Bayern, etc.

მაგრამ „ეინდჰოვენის“ მწვრთნელმა ბოზი რობსონმა რომარიო მაინც დაასახელა ძირითად შემადგენლობაში. „აიაქსმა“ უკვე მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში (ბერესკამპი), მაგრამ „გრონიგენმა“ შეძლო საბასუხო გოლის გატანა (მეიერი) — 1:1. ჩემპიონატის მხოლოდ მესამე გამარჯვება მოიპოვა აუტსაიდერმა „ვერენგენმა“, რომელ- მაც „მაისტრისტი“ დაამარცხა 1:0. გოლი რუმინელმა როდიონ კემეტარუმ გაიტანა.

სხვა ანგარიშები: „დენ ჰაიგი“ — „ვო- ლენდამი“ 1:3, „სპარტა“ — „ტვენტე“ 1:3, „სხიდამი“ — „ფორტუნა“ (სიტარდი) 2:0, „ვიტესე“ — „ვილემ II“ 2:0, რკს-ნეკ 3:0. მატჩი „როდასა“ და „უტრეხტს“ შორის გადაიდო.

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Eintracht, Groningen, etc.

„რომა“ 1:1, „მილანი“ — „ნაპოლი“ 4:1, „პარმა“ — „ფიორენტინა“ 1:0, „პიზა“ — „ინტერო“ 0:1, „ტორინო“ — „კალიარი“ 1:1, „ინტერო“ 2:2, 4:2-2:3 3:3, „სამპდორია“ 2:3 3:3-1:6 3:3, „მილანი“ 2:3 2:9-1:3 3:2

საზრანგეთი

„ოსერო“ — „ტულუზი“ 3:0, „ბორდო“ — „სენტ-ეტიენი“ 2:1, „კაენი“ — „ბრესტა“ 1:2, „ტულუზა“ — „კანი“ 2:2, „ლილი“ — „სოშო“ 0:1, „ლილი“ — „ნანსი“ 0:1, „მარსელი“ — „მონაკო“ 1:0, „მეცი“ — „რენი“ 2:0, „ნიცა“ — „მონაელი“ 2:0, „ნანტი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0.

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Rows include Marseille, Monaco, etc.



საქონლის ბირჟის განყოფილება

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის“ საორგანიზაციო კომიტეტი აქციონერებს აცნობებს, რომ უკვე მზად არის საპროექტო დამფუძნებელი დოკუმენტების პაკეტი.

8 მარტიდან აქციონერებს შეუძლიათ მიიღონ „კავკასიის ბირჟის“ წესდება, ფასიანი ქაღალდების, ბირჟის საბჭოს, სარევიზიო კომისიის, ბირჟის გამგეობის დებულებანი.

დოკუმენტების მისაღებად საკმარისია წარმოადგინოთ გადახდის ვალდებულება ან აქციის განაღდებას ქვითარი.

მოგვწერეთ მისამართით: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 71. ტელ: 74-35-49, 74-42-99, 74-62-66

თქვენ ენერგიული, ინციტივიანი კაცი ხართ, უამბილიათ არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება, გააფთ კომპერციული ნიჭი?

მაშ, თქვენი სამუშაო ადგილი „კავკასიის ბირჟაზე“!

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სამუშაოდ იწვევს ეკონომისტებს, კომერსანტებს, ფინანსისტებს, ბუღალტრებს, საქონელმცოდნეებს, ექსპერტებს, ანალიტიკოსებს.

არის ვაკანსიები კომერციულ, საფინანსო-ეკონომიკურ, საინფორმაციო, საექსპორტო სამმართველოებში, აგრეთვე სამრეწველო საქონლით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ნედლეულით, წარმოების საშუალებებით, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მულტიმედიუმულ საბირჟო კომიტეტებში.

შერჩევა მკაცრი იქნება, სამაგიეროდ მაღალი ანაზღაურება უზრუნველყოფილია!

მაღალი კლასის სახილავისტავს მაღალი ანაზღაურება!

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სამუშაოდ იწვევს უცხო ენების იტალიურის, თურქულის, ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის, ესპანურის მცოდნე პირებს.


უცხო ენის კონსულტანტის მოვალეობაში შედის მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, საბირჟო დოკუმენტების დამუშავება, სინქრონული თარგმნა.

გათვალისწინებულია მივლინებები საზღვარგარეთ. ანაზღაურება — შრომითი შეთანხმების მიხედვით.

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სარეკლამო სააგენტო „მ-მ-ნო“

იქტაბი

1990 აპრილი სენა
1989 ალან პროსტი
1988
1987
1986



ზეგ ქალაქ ფენიქსში აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყო ავტომობილითა 42-ე მსოფლიო ჩემპიონატი ფორმულა 1 კლასში...

ცენტრის — დეტროიტის დიდი პრიზის გათამაშება. აღსანიშნავია, რომ ორივე-გან რბოლა ტარდება არა სპეციალურ ავტოდრომზე...

რომ გარკვეულ უზერბულობას იწვევს ვეროპული ტრასებისაგან განსხვავებული მოძრაობა საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ...

უკანასკნელი სარეჟისო

1972 წლის საპირის ოლიმპიადის გამარჯვებულის კრისტლ ჰასის კოლეჯში იღობა არის ზამთრის თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი...

გერნოტმა ვერ მოასწრო ჩემპიონობა. ის ოცნებობდა გამარჯვებულზე. ვიცი, რომ ამ დანაკარგის სიმძიმეს ვერაფერი შეამსუბუქებს...

ავსტრიელი მოთბილამურის ტრაგიკულმა სიკვდილმა კრიტიკის დიდი ტალღა გამოიწვია ასპარეზობის ორგანიზატორთა მისამართით...

ტრაგედია შეიძლება არ მომხდარიყო — ასეთია ცნობილი სამთომოთბილამურის მარკ გირარდელის აზრი...

1966 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში სამი სასიკვდილო შემთხვევა მოხდა: 1970 წელს მეტევეში (სადრანგეთი) დაიღუპა ფრანგი მიშელ ბოზონი...

1979 წელს ლეიკ-პლესიდში (აშშ) — იტალიელი ლეონარდო დავიდი, ახლა ეს ხამჭუხარო სია შეავსო ავსტრიელმა გერნოტ რაინშტადლერმა...



ნანინი იყვას და...

ალესანდრო ნანინი მანქანიდან გადმოსვლისთანავე მეგობრების გარემოცვაში მოექცა. იტალიელი ავტომობილი იღებდა მილოცვებს მძიმე ტრავმის შემდეგ...



ალესანდრო ნანინი

პირველი ქართული პროფესიონალი

გაზეთ „ქუთაისის“ ცნობით, სხვადასხვა დროს ქუთაისის „იას“, თბილისის „ელმავალისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეორე ხაზის მორეინალი, 28 წლის ზენა კაშია მოსკოვის ერთ-ერთ პროფესიულ კლუბში გადავიდა...

ქართველი პროფესიონალი მორაგბე და იმავდროულად გამოემშვიდობა საქართველოს ნაკრებსაც, რაკილა, საერთაშორისო კანონმდებლობით, ცამეტკაციან, პროფესიულ რაგბიში გადასულ მოთამაშეს ჩვენებური რაგბის თამაშის უფლება აღარა აქვს...

„ქვეთაღ სენტრის“ სტადიონის ტრიბუნებზე შეტრებილ 17 ათასზე მეტ მაყურებელს დიდხანს დაამახსოვრებდათ „ვანტაგონ ქვეთელისა“ და „ფილადელფა ფლაიერის“ ზოგიერთა კლუბების შესვენება ის რაც იმ დღეს უწოდეს მოედანზე ხდებოდა, ძნელი გადმოსაცემია. საშვს ვერც 294-მა წუთმა საჩარმო დრომ უშველა, რომელიც ორივე გუნდს „დაუნაწილეს“...

„ნასიონალი“ და „გელია ვისტა“

ურუგუაის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული გუნდის, მონტევიდეოს „ნასიონალის“ გულშემოტიკრების სიხარულს საზღვარი არა აქვს. შეიღწილიან შესვენების შემდეგ მათმა საყვარელმა გუნდმა გაიმარჯვა „ლიგლის“ ტურნირში და უფლებამოსილია თამაშის „კოპა ლიბერტადორესის“ გათამაშებაში, რომელიც ლათინური ამერიკის არაოფიციალურ საკლუბო ჩემპიონატად ითვლება...



„ვი დამაბულობამ უმაღლეს დონეს მიღწია ფილადელფიელთა მცველმა გორდ მერფიმ უკიდურესად უხეში ილეითის ხმარებით წაქცა რუსი დიმიტრი ხრისტიჩი, რომელიც ვანტაგონელთა შემაღვლლობაში თამაშობდა. ამას მოჰყვა ხელნართული ბრძოლა მოთამაშეთა დამწვრთნელთა „მონაწილეობით“ შესვენების დამთავრებამდე რვა წუთით ადრე მორეი შეტაკება კვლავ მუშტაკოვში გადაიზარდა, რომელიც თითქმის ოც წუთი გრძელდებოდა მინდორზე და ტრიბუნებზე მატჩის არბატრის რონ კუბარსკის მიერ დამწავეთა მიმართ...

ახალი პარსკლავი 14 წლისაა

იტალიური კლუბი „მილანი“ მზადია 120 მილიონი ლირა (ას ათას დოლარზე მეტი) გადაიხადოს... 14 წლის ფეხბურთელი ში. ეს თანხა ცნობილი იტალიურმა კლუბმა უნდა გადაუხადოს რომის სპორტულ კავშირს „ტორ დი კუინტო“-ს, რათა მიიღოს იმის უფლება, რომ თავის რიგებში ჩართოს ნიჭიერი ბულგარელი ფეხბურთელი კრასიმირ ბოვდანოვი...

„მილანი“ ძალზე სერიოზულადაა დაინტერესებული ნორჩი ფეხბურთელით. კლუბის ხელმძღვანელობამ კრასიმირის მშობლებს მილანში საცხოვრებლად დაარწმუნა შესთავაზა, აღუთქვებს ბინითა და სამუშაოთი უზრუნველყოფა. თავად კრასიმირის საშუალება ექნება განაგრძოს თავისი სპორტული ნიჭის სრულყოფა „მილანის“ ეროვნულ საფეხბურთო სკოლაში. გარდა ამისა, ბულგარეთის მოქალაქეობასთან ერთად, მას შეუძლია მიიღოს იტალიის მოქალაქის სტატუსი. იტალიური ფეხბურთისთვის ეს ფრიად მომგებიანი იქნება: კრასიმირ ბოვდანოვი არ მოხვდება ლიმიტირებულ უცხოელ ფეხბურთელთა სიაში და ამავე დროს შეეძლება დაიცვას ბულგარეთის ეროვნული ნაკრების სახელიც...

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ტირანსკავშირი“

გამოცემის პარასკეობით სარბიელი 0506080, ცაგერის ქ. №6, ბ.30. გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია ტელეფონი 88-89-88.

ჩვენი მისამართი: თბილისი 880808, ცაგერის ქ. №6, ბ.30. გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია ტელეფონი 88-89-88.

გაზეთი აიწყო და დასაბუდონდა კომპიუტერით შსს გამოთვლილი ცენტრში ტელეფონი 88-26-44 გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხო შარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ შონიძე. სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ბიორბი შორძია (ახსენებულები მდივანი), შალვა შალვაშვილი, ბიორბი ბიორბილი, კომერციული დირექტორი შოთა ზუღუშვიდი.

საქართველო... იპიტური... ცნობილი ფრანგი მოთბილამურე კლოდ პიერა დისკვალიფიცირებულია ორი წლით. დიმიტრი კონტრასის შემდეგ იგი აკრძალული სტანდარტის გამოყენებაშია მხილებული. ... 15 წლის ფრანგი გერო გე ვანდა პირველი რეკორდსმენი ოლიმპიური ტრამპლინინა ნტომაში, რომლის მშენებლობაც დასრულდა საკუორტო დაბა კურშველში, ქალაქ ალბერვილის მახლობლად. ერთი წლის შემდეგ სწორედ ეს ქალაქი უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. გერო გე ვანდას სიგრძე 122 მეტრი.